

პირველი საერთაშორისო კონფერენცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ

2020 წლის 5 ოქტომბერი

კონფერენცია ორგანიზებულია Erasmus+ CBHE ინტელექტუური განვითარების პროგრამის პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ ფარგლებში

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციაზე გამომსვლელ პირთა შესახებ



მარკ გლინი

დოქტორი მარკ გლინი ფართო გამოცდილებას ფლობს ირლანდიის უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ საკითხებზე, კერძოდ ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებასთან, სასწავლო ანალიტიკასთან და მოქნილ სწავლებასთან (flexible learning) დაკავშირებით. იგი ხელმძღვანელობს ინოვაციური სწავლისა და სწავლების მეთოდების ხელშეწყობის პროცესს უმაღლესი განათლების სექტორში და მიიჩნევა ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენების დარგის წამყვან ავტორიტეტად. მარკ გლინს ასევე ეკავა ხელმძღვანელი პოზიციები ირლანდიის უმაღლესი განათლების სფეროში სასწავლო ინოვაციებზე მომუშავე ორ წამყვან ორგანიზაციაში – ირლანდიის სწავლების ტექნოლოგიის ასოციაციასა და ირლანდიის საგანმანათლებლო დეველოპერების ქსელში. ამჟამად მარკ გლინი ხელმძღვანელობს დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესების საკითხებზე მომუშავე ჯგუფს და უშუალოდ არის ჩართული დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტის ფარგლებში მოწინავე ინოვაციური სწავლების ტექნიკის და სწავლების ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში.



ფიონა ო'რიორდანი

დოქტორი ფიონა ო'რიორდანი იკავებს დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტის სწავლების ხელშეწყობის განყოფილების აკადემიური დეველოპერის თანამდებობას. მას გააჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა პროგრამებზე, მათ შორის ბიზნესის, კომპიუტერული მეცნიერების და განათლების მიმართულებით სწავლების ფართო გამოცდილება. ფიონა არის ირლანდიის ჩართულობითი პედაგოგიკის (Engaged Pedagogy) კონფერენციის დამფუძნებელი წევრი და თავმჯდომარე, ასევე ირლანდიის საგანმანათლებლო დეველოპერების ქსელის თავმჯდომარე. გარდა ამისა, ახლო წარსულში იგი არჩეულ იქნა პროფესიული განვითარების ექსპერტთა ჯგუფის ეროვნულ ფორუმზე, სადაც მუშაობდა ეროვნული პროფესიული განვითარების ჩარჩოს დანერგვის პილოტირების ჯგუფთან და ამჟამად იგივე ამპლუაში მუშაობას აგრძელებს მრჩეველთა ჯგუფში. ფიონა ო'რიორდანის კვლევითი ინტერესები მოიცავს შეფასების დიზაინს, ჩართულობით პედაგოგიკას და კურიკულუმის განვითარებას.



სვანტე აქსელსონი

შვედეთის უფსალას უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი. სვანტე აქსელსონი ასევე იკავებს უფსალას უნივერსიტეტის განათლების დეველოპერის თანამდებობას. იგი უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კურსებს სწავლებისა და სწავლის შესახებ. ამჟამად იგი მხარდაჭერას უწევს უნივერსიტეტის პერსონალს განათლებაში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების საკითხებში.



სონია ბიელობაბა

სონია ბიელობაბა არის უფსალას უნივერსიტეტის კვლევითი ეთიკის და ბიოეთიკის ცენტრის „კვლევითი ეთიკის კურსების“ პროექტის მენეჯერი და ამავდროულად უნივერსიტეტის თანამედროვე ენების კათედრის სერბული, ხორვატული და ბოსნიური ენების ასოცირებული პროფესორი. სონია ბიელობაბა იკავებს აკადემიური კეთილსინდისიერების ევროპული ქსელის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას და არის ერაზმუს+ სტრატეგიული პარტნიორობის პროექტის „კეთილსინდისიერების დანერგვა განათლებაში, ბიზნესსა და საზოგადოებაში“ (2020–2023) კოორდინატორი. სონია ბიელობაბამ დისერტაცია დაიცვა გოტენბურგის უნივერსიტეტში, სადაც განათლების დეველოპერის რანგში ასწავლიდა კვლევით კეთილსინდისიერებას, ასევე უძღვებოდა სამაგისტრო ზედამხედველობის და სხვა კურსებს უმაღლესი განათლების სფეროში სწავლებისა და სწავლის შესახებ. სონია ბიელობაბას კვლევითი საქმიანობა ფოკუსირებულია ბალკანეთსა და შვედეთში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე.



აგნეს რაშაუერი

აგნეს რაშაუერი ფლობს მაგისტრის ხარისხს და მუშაობს ვენის უნივერსიტეტში სოციოლოგიის თანამდებობაზე. მისი სამუშაო ინტერესები მოიცავს უმაღლესი განათლების კვლევებს, თვისებრივ მეთოდოლოგიას და ცოდნის კულტურას. აგნეს რაშაუერი უძღვებოდა უნივერსიტეტის პედაგოგების ტრენინგებს დიდაქტიკაში, ასევე ჩატარებული აქვს ლექციები აკადემიურ წერაში და მონაწილეობდა სტუდენტთა განსხვავებულ სპექტრზე მორგებული ინოვაციური სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესში. აგნეს რაშაუერი არის ევროკავშირის პროექტების გამომცდილი მენეჯერი და მუშაობს შემფასებლად.



ევა კუნტშვილი

ევა კუნტშვილი ფლობს მაგისტრის ხარისხს ანგლისტიკასა და ამერიკანისტიკაში და არის აკადემიური, შემოქმედებითი და პროფესიული წერის კვალიფიცირებული მასწავლებელი. იგი მუშაობს ვენის უნივერსიტეტის „სწავლებისა და სწავლის ცენტრში“, სადაც 2013 წლიდან ხელმძღვანელობს წერის მენტორობის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მომზადდა 400-ზე მეტი წერის მენტორი სტუდენტი. ევა კუნტშვილი ავსტრიის სხვადასხვა უნივერსიტეტში ასწავლის აკადემიურ წერას ინგლისურ და გერმანულ ენებზე, ასევე არის სერტიფიცირებული აკადემიური ხელმძღვანელი.



მაილს ბერი

მაილს ბერი არის როკჰემპტონის უნივერსიტეტის წამყვანი ლექტორი კომპიუტერული განათლების დარგში. როკჰემპტონის უნივერსიტეტში გადასვლამდე, იგი 18 წლის განმავლობაში მუშაობდა 4 სხვადასხვა სკოლაში, ძირითადად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კოორდინატორის და ახლო წარსულში მთავარი მასწავლებლის თანამდებობაზე. მაილს ბერი არის ბრიტანეთის კომპიუტერული საზოგადოების კომპიუტინგის აკადემიის საბჭოს წევრი.

კარიერის განმავლობაში, მაილს ბერი მონაწილეობდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის ეროვნული კურიკულუმის კომპიუტინგის პროგრამებში- Switched on Computing, Barefoot Computing, QuickStart Computing, CAS TV, Project Quantum and Hello World.

მაილს ბერი რეგულარულად გამოდის სიტყვით და ატარებს უწყვეტი პროფესიული განვითარების სამუშაო შეხვედრებს განათლების ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ისე საზღვარგარეთ. იგი ასევე მუშაობდა რამდენიმე საერთაშორისო საკონსულტაციო პროექტში კურიკულუმის განვითარების და უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხებზე.